პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

განხორციელების ვადა: 08.12.2022 - 08.12.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 222 376

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Caucasus Environmental NGO Network (CENN)

პროექტის ვებსაიტები: cenn.org/

პროექტის აღწერა:

მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის - სამწლიანი პროექტია, რომლის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი და სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება. პროექტს ახორციელებს CENN შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, დემოკრატიის ინსტიტუტი, ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG). პროექტის სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები არიან: ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები, ადგილობრივი ხელისუფლება, რეგიონული ხელისუფლება, ფერმერები, მეწარმეები, ტურისტულ სერვისებში ჩართული პირები, სასწავლო დაწესებულებები და ახალგაზრდები, ადგილობრივი და რეგიონული მედიაორგანიზაციები.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსალოდნელი შედეგები:
შედეგი 1: გაუმჯობესებულია მონაწილეობითი მექანიზმები მდგრადი სოფლისა და ტერიტორიული განვითარებისათვის.
შედეგი 2: გაუმჯობესებულია პოლიტიკური დიალოგი და სოფლის განვითარების მიდგომების მონაწილეობითი განხორციელება.
შედეგი 3: ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობები დივერსიფიცირებულია.
შედეგი 4: გაუმჯობესებულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სახელმწიფო სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა.